



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-31. 3123025001

თარიღი:25/01/2023

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №1

2023 წლის 25 იანვარი

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის N23 დადგენილების შესაბამისად,

მუხლი 1. მოწონებულ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2023 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



2023 წელს რეგიონული განვითარების ფონდით განსახორციელებელი პროექტების
ნუსხა

№	დასახელება	სავარაუდო ღირებულება
1	ქ. ლანჩხუთში 9 ქუჩის (მშვიდობის, ხომერიკის, გურუშაძის, გურიელის, გორგასლის, ვაჟა-ფშაველას, ნათლისმცემლის, ყაზბეგის და ჭანტურიას) რეაბილიტაცია	4500000
2	ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ჭალაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია	360000
3	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფ. არჩეული-ოდლაურის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	1000000
ჯამი		5860000

